

# 60-იანელთა ფილმები ინტერნაციონალურად. ცენზურა და თვითცენზურა

დავით გუჯაბიძე

**საკვანძო სიტყვები:** ცენზურა, სტალინური ცენზურა, „დათობის“ პერიოდი, ფელისის „მ 1/2“, ცენზურა და კინოკომედიები, საბჭოთა და ქართული საბჭოთა კინო.

ციფრული ეპოქის ერთი დიდი უპირატესობაა, რომ ინტერნეტით იოლად ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა ეპოქის კინონიმუშების ნახვა, მოვლენებზე დაკვირვება და მათი შეფასება – დროში განვითარების პროცესი. უდავო ფაქტია, რომ ცენზურის მიუხედავად, ქართული კინო მნიშვნელოვნად განვითარდა. სტატიაში განხილულია ცენზურისა და კინოს ურთიერთობა საბჭოთა პერიოდში.

სიტყვას „ცენზურა“ ბევრი განმარტება აქვს. დღეს, ქართულ მედიასივრცეში, ტერმინებს – ცენზურა და ცენზორი – ძირითადად, სახელმწიფოს მხრიდან პიროვნებაზე გავლენის აღმნიშვნელად იყენებენ.

ცენზორის, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირის, ფუნქცია ძველი რომში (როდესაც ეს სამსახური ოფიციალურად გაფორმდა), არ იზღუდებოდა და საპატიოდაც ითვლებოდა. მისი მოვალეობები იყო: მოქალაქეების აღრიცხვა ცენზის მიხედვით, (censum agere), სენატორთა სიების გადამოწმება/განახლება. ცენზორები, ასევე, ზედამხედველობას უწევდნენ ხალხის მორალურ მდგომარეობას. ევალებოდათ სახელმწიფო ფინანსების ადმინისტრირება და ზედამხედველობა საზოგადოებრივი ნაგებობის მშენებლობაზე.

თანამედროვე ტერმინოლოგიითა და განსაზღვრით, ცენზორი იყო სამხედრო კომისარი, საგადასახადო ინსპექციისა და შემოსავლების სამსახურის უფროსი, სამოქალაქო სამშენებლო სამსახურის კონტროლისა და ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი და ამ ყველაფერთან ერთად – მედიაზე ზედამხედველობის სამსახურის მთავარი რედაქტორი. ანუ, ცენზორს კორუფციასა და სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლაც ევალებოდა. ამდენი მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე პირი აუცილებლად განათლებული და ხალხის ნდობით აღჭურვილი მო-

ქალაქე უნდა ყოფილიყო. თანამდებობა არჩევითი გახლდათ და დემოკრატიულიც – ერთდროულად ირჩევდნენ ორ პირს: პატრიციუსსა და პლების. იყო შემთხვევები, როდესაც ორივე ცენზორად პლები აურჩევიათ.

ცენზურის, როგორც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის საშუალების, საკითხის კვლევა გვიჩვენებს, რომ მისი არსებობა ადრეულ ცივილიზაციებშიც დასტურდება. ეგვიპტის ქალი ფარაონის – ჰატშეფსუტის გარდაცვალების შემდეგ, მისი დამსახურებების წაშლა მისმა მემკვიდრემ, ძმისშვილმა და შვილობილმა – თუთმოს III-მ მოინდომა, რომელმაც სტელებსა და რელიეფებზე ამოტიფრული, თითქოს შეუცვლელი ჩანაწერები გადააშლევინა და არსებულ ცნობებს სხვა შინაარსი გადააწერა ან საერთოდ გაანადგურა.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. 399 წელს, ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ათენის სამსჯავრომ აიძულა საწამლავი დაეღია, მხოლოდ იმიტომ, რომ მან ათენის დემოკრატიული მმართველობა გააკრიტიკა.<sup>1</sup>

მსგავს შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს შოთა რუსთველის ისტორიაც, რომლის შესახებაც, პრაქტიკულად, არაფერია ცნობილი და მასზე მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. სხვა ცნობებით გაჯერებულ, თამარის ეპოქის მათიანეებსა თუ სხვა საბუთებში, პოემის ავტორზე არაფერია ნათქვამი. ვარაუდობენ, რომ მას ქვეყნის დატოვება მოუხდა, ბერად აღიკვეცა და იერუსალიმში

1 პლატონი, ფედონი, 1966, გვ. 8.

აღესრულა.

არ შეიძლება არ დაეთანხმო აზრს, რომ ამ დიდი მოაზროვნის მათიანეებიდან ამოსაშლელად გულდასმითაა „ნამუშევარი“ – მისი ნაკვალევის გაქრობის მიზნით... დიდი ალბათობით, რუსთაველის პოპულარობა საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს იმდროინდელ „ძლიერთათვის ამა ქვეყნისა“.

ცენზურას XX საუკუნის კინემატოგრაფსა და ტელევიზიაში სხვადასხვა ფორმა ჰქონდა. ზოგიერთ ქვეყანაში, სანამ ფილმის ან სატელევიზიო სერიალის გადაღება დაიწყებოდა, სცენარები არასასურველი ინფორმაციისგან იფილტრებოდა. შემდეგ ფირებიდან იჭრებოდა სცენები, ზოგ შემთხვევაში კი, მათი ჩვენება საერთოდ იკრძალებოდა.

XX საუკუნის საქართველოში, ცენზურასა და ცენზორის მხოლოდ იდეოლოგიური ზედამხედველობისა და ანტიიმპერიული ქმედებების წინააღმდეგ მიმართულ სადამსჯელო ფუნქციებთან გაიგივებული შინაარსი შერჩა, რაც განპირობებული იყო XIX საუკუნიდან რუსეთის იმპერიის გუბერნიად და შესაბამისად – რუსული ბიუროკრატიის მმართველობის გაქვლეტის ქვეშ ყოფნით და სსრ კავშირად გარდაქმნილი, მენტალური მემკვიდრეობით.

ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოში წარმოებული ფილმებიც ერთიანი საბჭოთა პროპაგანდის ნაწილი იყო. 1920-1930-იან წლებში, ადრეულმა საბჭოთა ცენზურამ აკრძალა ფილმები – „ჯიმ შვანთე“ (რეჟისორი: მიხეილ კალატოზიშვილი, 1930), „ჩემი ბებია“ (კოტე მიქაბერიძე, 1929), „ელისო“ (ნიკოლოზ შენგელაია, 1928).

მართალია, „ჩემი ბებია“ ოფიციალურად ნებადართულ, „საბჭოთა“ ფრაზეოლოგიით შენიღბულ, ბიუროკრატების კრიტიკას წარმოადგენს, მაგრამ, ის იმდენად „მოურიდელები“ სატირა აღმოჩნდა, რომ „ანტისაბჭოთა“ პროპაგანდად ჩაითვალა. მისი ჩვენება 40 წლის განმავლობაში აკრძალული იყო... „სამაგალითოდ“ დასაჯეს, უშუალოდ, რეჟისორი კოტე მიქაბერიძეც, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე აეკრძალა მხატვრული ფილმების გადაღება.

1930-იანი წლებიდან, საბჭოთა კინო, როგორც ხალხზე მძლავრი გავლენის საშუალება, სტალინურმა დიქტატურამ მთლიანად დაიმორჩილა. ყველა ფილ-

მის სცენარს სტალინი, პრაქტიკულად, პირადად ეცნობოდა და „იბარებდა“ დასრულებულ ნამუშევრებს. 1930-იანი წლებიდან იწყება ცენზურას დაქვემდებარებული ფილმების სიის ჩამონათვალი, რომელიც საკმაოდ გრძელია.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალებამ არა მარტო სსრ კავშირი, არამედ მთელი მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. 1956 წელს, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა ნიკიტა ხრუშჩოვმა სასტიკად გააკრიტიკა სტალინის პიროვნების კულტი და დიქტატურის შემსუბუქება სცადა, რასაც მოჰყვა „სტალინური“ ცენზურის ერთგვარი შემსუბუქება, რომელმაც, „ცივი“ და „შეუვალი“ იდეოლოგიური კონტროლის ნაცვლად, ჰუმანური აზროვნების, სიტყვის, პრესისა და შეკრებების შედარებითი თავისუფლება მოიტანა, რაც დანარჩენ მსოფლიოსთან სსრ კავშირის ინტეგრაციის საჭიროებით იყო განპირობებული. ამგვარმა „დათბობამ“ შესაძლებელი გახადა მსოფლიოს ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზება მოსკოვში, ხელოვნებაში ახალი მიმდინარეობების გაჩენა, კინოფესტივალების დაარსება, მათ შორის, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის განახლება და ასე შემდეგ.

„დათბობის“ პოლიტიკა, როგორც ცნობილია, დროებითი აღმოჩნდა. მხატვარ-აბსტრაქციონისტების, 1962 წლის 1 დეკემბრის გამოფენა მოსკოვის მანეჟის მოედანზე, პირადად ხრუშჩოვმა ცნო საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებლად. „დათბობა“ „აგრილებით“ შეიცვალა. მართალია, საბჭოთა ცენზურა „სტალინურ სიმკაცრეს“ აღარ დაბრუნებია, მაგრამ შემოქმედებს მიეთითათ, რომ „მოთმინებება“ უსაზღვრო არ იყო. „დათბობის“ პერიოდის კინოს ერთ-ერთ საკულტო რეჟისორ მარლენ ხუციეც თავისი ფილმების – „მე ოცი წლის ვარ“ (1964) და „ივლისის წვიმა“ (1966), ცენზურის მოთხოვნით, მრავალჯერ მოუწია გადამონტაჟება.

უნდა ითქვას, რომ სახარბიელო მდგომარეობა, ცენზურის მხრივ, არც „დემოკრატიის სამშობლოდ“ წოდებულ აშშ-ი იყო. შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველ თავში მკაფიოდ ხაზგასმულია, რომ „კონგრესმა არ უნდა შექმნას კანონი, რომელიც შეამცირებს (დააკნინებს) სიტყვის თავისუფლებას, ან მედიის (პრესის) თავისუფლებას“.<sup>2</sup> თუმცა, „ცივი ომის“

2 National Constitution Center, The United States Constitution.

პერიოდში დაწყებული „წითლებზე (კომუნისტებზე) ნადირობა“ და მაკარტიზმი, და მათი იდეოლოგია, რომ ამერიკული რეალობის ყველა სფეროდან ამოეძირკვათ კომუნისტური იდეოლოგია, მალევე მისწვდა ჰოლივუდს და ამერიკულ ტელეგადაცემებს.<sup>3</sup>

1960-იანი წლების საბჭოთა კინოს „აგრილების პერიოდში“, იმრავლა ეგრეთ წოდებულმა თაროზე შემოდებულმა ფილმებმა. აღმოჩნდა, რომ კინოსურათების გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც სცენარის ეტაპზე მისაღები იყო, დასრულების შემდეგ, საბჭოთა იდეოლოგიისთვის „სახიფათო“ ელფერი ეძლეოდა. ფილმებს, საბოლოოდ, „გოსკინოს“ კომისია სხვადასხვა ხარისხობრივ კატეგორიას ანიჭებდა. ყველაზე მაღალხარისხოვან და იდეოლოგიურად „გამართულ“ კინოსურათებს უმაღლესი და პირველი კატეგორია ენიჭებოდათ, რაც საკავშირო ეკრანებზე ფართო გაქირავებას, ავტორებისთვის მაღალ ჰონორარებსა და საპატიო წოდებებზე წარდგენას ნიშნავდა. მეორე და მესამე კატეგორიების მინიჭებისას კი, ანაზღაურებაც და გაქირავებაც 2 და 3-ჯერად მცირდებოდა. რაც შეეხება „თაროზე შემოდებულ“ ფილმებს, მათ საერთოდ არ უჩვენებდნენ. ავტორები ფინანსურადაც ისჯებოდნენ „არაჯანსაღი“ შემოქმედებისთვის.

ხელოვნების ნაწარმოებების შექმნისას, ავტორებში ცენზორის ფუნქცია თვითცენზურას უნდა შეესრულებინა (თვითცენზურა ნიშნავს ავტორის შეგნებულ თავშეკავებას ინფორმაციის გამოქვეყნებისას, რომელიც იძულებულია, არ გამოხატოს პირადი მოსაზრებები, საზოგადოების მორალური შეზღუდვებიდან, პირადი კონფორმიზმიდან ან დასჯის შიშიდან გამომდინარე, ცენზურის წესების დარღვევისთვის).

ამ გარემოებებს და ადამიანის ფსიქიკაზე გავლენის შედეგებს აჩვენებს უნგრელი რეჟისორი ზოლტან ფაბრი ფილმში „მეხუთე ბეჭედი“ (1976 წელი). კინოსურათის გმირებს სახელები არ აქვთ და ასე მოიხსენიებიან – მესაათე, დურგალი, ტრაქტორის პატრონი, ბუკინისტი, ფოტოგრაფი, კაცი სამოქალაქო ტანსაცმელში, რითაც ხაზი ესმება მოვლენათა ზოგადსაკაცობრიო ხასიათს...

1945 წელია. ბუდაპეშტს საბჭოთა არმიის ნაწილები უტევენ და უნგრეთის ფაშისტურ რეჟიმს რამდენიმე დღე აქვს დარჩენილი... მოსალოდნელი დაბომბ-

ვების გამო ფანჯრებზე შავფარდებაკრულ ტრაქტორში, საღამოობით, ოთხი „კანონმორჩილი მოქალაქე“ იკრიბება და ფილოსოფიური იდეებიდან დაწყებული, კულინარიულ რეცეპტებამდე დამთავრებული – ყველაფერზე მსჯელობენ. მათ სჯერათ, რომ დაცულები არიან, რადგან კანონსაწინააღმდეგოს არაფერს სჩადიან. პირიქით, კარს უკეტავენ გაქცეულს, რომელსაც პოლიცია მისდევს; გარეთ კი მხოლოდ მაშინ იხედებიან, როცა იქ უკვე ხმაური და სროლა სრულდება და მშვიდად აგრძელებენ საუბარს...

ამ საზოგადოებას უერთდება ტრაქტორში ღვინის საყიდლად შესული, ომში დაიხიბრებული ფოტოგრაფი, რომელიც შეკრებილებს, ცრუ ბრალდებით, „სიგურანცაში“ (ფაშისტური უნგრეთის ჟანდარმერია) აბეზღებს. ჟანდარმერიის ოფიცერი მოქალაქეებს აპატიმრებს და აწამებს, რომლებიც ვერ ხვდებიან, რა დააშავეს... წამების პროცესს, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი შავსათვალიანი შუა ხნის მამაკაცი ადევნებს თვალს. მისი აზრით, მთავარი არა მოსახლეობის წამებით მიღწეული მორჩილებაა (რასაც მოკლევადიანი ეფექტი აქვს), არამედ პიროვნების სულიერი გატეხვაა, როცა მას აიძულებ და უღირს საცხიელს ჩაადენინებ, ადამიანი კარგავს საკუთარი თავის პატივისცემას და უნებისყოფო არსებად იქცევა.

„ჩვენი ამოცანაა არა ტერორისტებისა და მებრძოლების განადგურება, არამედ იმათი დამორჩილება, რომლებიც საღამოობით სამზარეულოებში საუბრობენ“ („მეხუთე ბეჭედი“). ასეთია „სამოქალაქოდ ჩაცმული“ პერსონაჟის კრედო... თუმცა, მარცხი ელის, რადგან სწორედ ის, ვინც მოძალადეების მოთხოვნას მორჩილად ასრულებს, ყველაზე ქმედითი იდეური მოწინააღმდეგე და ძლიერი პიროვნებაა. ზოლტან ფაბრის ეს პერსონაჟი აბსოლუტურად მართალი გამოდგა: სწორედ „სამზარეულოს“ მოაზროვნეები აღმოჩნდნენ ყველაზე ძნელი სამართავნი.

სსრ კავშირში „სახალხო იდეოლოგიურ ამინდსაც“ 1960-იანი წლებიდან ასეთი ადამიანები ქმნიდნენ. ქალაქებისა, და უპირველესად, მოსკოვის ურბანულმა განვითარებამ, „კომუნალური“ ისტორიული ცენტრებიდან „ხრუშჩოვკების“ ვიწრო, მაგრამ მაინც ავტონომიურ ბინებში მასობრივმა გადასახლებამ (რამაც თითოეულ ინდივიდს პირადი სივრცის რაღაც

3 Miller Center, McCarthyism and the Red Scare, 2017.

ფორმა შეუქმნა), ამროვნებისა და ურთიერთობის ახალი სტილი მოიტანა, რომელშიც „ანტისაბჭოური“ ელემენტი თანდათან მომძლავრდა...

„ხალხისათვის გაუგებარიას“ ეპითეტიც და მომიზნებით, საბჭოთა ცენზურას არა ერთი ფილმი დაუწუნებია. აღსანიშნავია უცხოური ფილმების აკრძალვის საბჭოური გამოცდილებაც. ცენტრალურ კინოარქივში - „გოსფილმოფონდში“, მსოფლიო კინოხელოვნების მეტ-ნაკლებად საინტერესო ყველა ფილმის ასლი ინახებოდა. ამ ულიცენზიო („მოპარულ“) ასლებს მხოლოდ პროფესიონალებს უჩვენებდნენ, სპეციალურ დახურულ ჩვენებებზე, რათა ისინი მსოფლიო კინოს საერთო განვითარებას არ ჩამორჩენოდნენ...

მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი, ფედერიკო ფელინის „8½“, ფესტივალის ორგანიზატორი ქვეყნის - სსრკ კინოგაქირავებამ არ იყიდა (რაც უპრეცედენტო და სკანდალური მოვლენა იყო)... 1963 წელს მოსკოვის კინოფესტივალზე ცენტრალურმა კომიტეტმა და კულტურის სამინისტრომ ყურადღება მიაქციეს ფელინის ფილმს „8½“, რომელიც ფორმალისტში, ინდივიდუალიზმის პროპაგანდაში, ნეორეალიზმის ყველა ტრადიციის ღალატში დაადანაშაულეს, რომ მასში ასახული არ იყო ხალხის სახე, არც სოციალური პრობლემები, და მხოლოდ არაპროგრესულ შიდა პრობლემებს ასახავდა. კინოსურათი საბჭოთა ეკრანებზე მხოლოდ 1988 წელს გამოვიდა.

ასევე, ფაშისტების „დახვერეთილი“ ჩაპლინის „დიდი დიქტატორი“ საბჭოთა ეკრანებზე შექმნიდან მხოლოდ 40 წლის შემდეგ უჩვენეს.

ამ აბსურდული მოვლენის მიზეზი ასევე ცენზურული მოსაზრება იყო: მასობრივი საბჭოთა მაყურებლის „მოუმზადებლობა“ და მისი „გასაშუალებული“ გემოვნება, რომელიც კინოში შრომითი დღის (თუ კვირის) შემდეგ დასასვენებლად მიდიოდა, და „სააბროვნო“ ფილმებს „ვერ გაიგებდა“...

ასეთი იყო, პოზიცია რომელსაც რეალური საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. მასობრივი მაყურებლის „მოუმზადებლობაზე“ მეტყველებს ისიც, რომ ფრანგული, თითქოს სათავგადასავლო, ირონიული დეტექტივი „ფანტომასი“ (რეჟისორი ანდრე იუნებელი) საბჭოთა მასობრივმა მაყურებელმა პოლიციის უნიჭო ფრანგ ოფიცერზე პაროდიად კი არ აღიქვა,

არამედ „აბსოლუტური ბოროტების“ რეკლამად, რის შემდეგაც ქვეყანაში გაჩნდა „ფანტომასის“ სახელით (თავზე კოლგოტჩამოცმულები) მოქმედი ბანდები. „ფანტომასმა“ მოსწავლეების ასაკობრივ ჯგუფშიც შეაღწია და მცირეწლოვანი დამნაშავეების სია გაზარდა.

1960-იანი წლების კინოს შეფასებას, საბჭოთა მაყურებლის მხრივ, ხარისხობრივი შეფასების ახალი კრიტერიუმი დაემატა - იყო თუ არა ის „თაროზე შემოდებული“, ანუ - აკრძალული ფართო საზოგადოებისთვის. თუ აკრძალული იყო, ესე იგი აუცილებლად სანახავი იყო. ერთ-ერთ პირველ ასეთ ფილმად, შექმნისთანავე ჩაითვალა ალექსანდრე ალოვისა და ვლადიმერ ნაუმოვის „უხამსი ანეკდოტი“ (1966), რომელშიც, დოსტოევსკის ეპოქასთან გავლებული არა-ცალსახა პარალელებით, მხილებული იყო საბჭოთა ბიუროკრატიის მაღალჩინოსნების მორალური დეგრადაციის პროცესი.

ფილმის შინაარსი შემდეგნაირია: გვიან საღამოს, სტუმრად ნამყოფი, მაღალი რანგის ჩინოვნიკი პრალინსკი შემთხვევით აღმოჩნდება სახლთან, სადაც მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომი, სახელად ფსელდონიშვი, ქორწილს აღნიშნავს. საკუთარი თავის საუკეთესო მხრიდან წარმოჩენის სურვილით, გენერალი ახალგაზრდა წყვილთან მისალოცად მიდის. უფროსის მოულოდნელმა გამოჩენამ საქმრო გააგიჟა, ხოლო გამორჩეული სტუმარი თანდათან მთვრალი კომპანიის დონემდე დაეშვა. ფილმი „თაროზე“ მრავალი წლით „შემოდეს“. ალოვისა და ნაუმოვის შემოქმედებაში, ერთგვარ „რეაბილიტაციად“ იქცა მათი მომდევნო ნამუშევარი - ორსერიიანი ფართოფორმატიანი „სრბოლა“ (1970), რომელიც, მიხეილ ბულგაკოვის ნაწარმოებების მიხედვით, რუსეთიდან თეთრგვარდიელთა გაქცევის ამბავს ასახავს.

ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა იმ პროცესის დაკვირვება, თუ როგორ გადაიქცა „საბჭოთა კინო“ „ანტისაბჭოთად“. მოვლენას ხელი, ძალაუწევდა, თავად ცენზურამ შეუწყო. ერთგვარი ანალოგიით, ეს პროცესი დინამიტის მოქმედებას შეიძლება შევადაროთ: რაც უფრო მკვრივია ასაფეთქებელი გარემო, მით უფრო ძლიერია შედეგი, რომელსაც ღია, თავისუფალ ზედაპირზე ასჯერადად მცირე ეფექტი აქვს.

ცენზურისგან კინემატოგრაფისტების თავდაცვის ძირითადი გზა კინოკომედია აღმოჩნდა. იუმორის



მიმართ საბჭოთა მოქალაქის დამოკიდებულება ზუსტად გამოხატა მსახიობმა მიხაილ ზადორნოვმა: დედამიწაზე ღმერთის არსებობის სამი გამოვლინებაა: ბუნება, სიყვარული და იუმორი: ბუნება გვაჩენს და გვარჩენს, სიყვარული გადაგვარჩენს, ხოლო იუმორი - გადაგვატანინებს.

ამ წლებში დაიწყო კარიერა - ელდარ რიაზანოვმა, ლეონიდ გაიდაიმ, გიორგი დანელიამ, და სხვა კომედიოგრაფებმა, რომლებიც სამოგადოებრივ პრობლემებზე იგავური ენით საუბრობდნენ. თუმცა ცენზურის „მოტყუება“ საკმაოდ რთული იყო.

ლეონიდ გაიდაის ფილმი „კავკასიელი ტყვე ქალი“ გამოსვლამდე „შემოდეს თაროზე“, და მისი ავტორების ბედი გაურკვეველი იყო, რომ არა „ბედნიერი“ შემთხვევა. აგარაკზე დასასვენებლად მყოფმა, სსრკ კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა მოითხოვა, „რაიმე ახალი“ ეჩვენებინათ. საჩვენებლად „კავკასიელი ტყვე ქალის“ გარდა სხვა არაფერი აღმოჩნდა. ბრეჟნევი, რომელიც სხვა პარტიული ბოსებისგან შედარებითი ლოიალურობით გამოირჩეოდა და საკუთარ თავზე გავრცელებულ ანეკდოტებსაც ხალისიანად ისმენდა (იხილე სერიალი „Брежнев“), ფილმის ნახვის შემდეგ კმაყოფილი დარჩა და გაკვირვება გამოთქვა, რატომ არ იყო გაქირავებაში... ასე იხილა მაყურებელმა აღნიშნული ფილმი, ალბათ, საბჭოთა ცხოვრების წესის ერთ-ერთი ყველაზე მძაფრად კრიტიკული ნაწარმოები, რომელიც მსუბუქი ენით, შეფარული და ნიჭიერი იუმორით სასტიკად ამხელდა საბჭოთა ბიუროკრატიის მანკიერ მხარეებს... და რომელიც საბჭოთა კინოგაქირავების ერთ-ერთი რეკორდსმენი აღმოჩნდა (დღემდე რჩება ასეთად ინტერნეტნახვების მიხედვით). ირონიული ანტისაბჭოურობის ბრწყინვალე მაგალითია სიმღერა, იმავე ლეონდ გაიდაის ფილმიდან „ბრილიანტის ხელი“ - „უიღბლოთა კუნძული“:

საზღვაო ლაინერით, უცხოეთში ტურისტულად გამგზავრებული რიგითი მოქალაქე - „მთავარი ეკონომისტი“ სემიონ გორბუნკოვი (მსახიობი იური ნიკულინი) და მისი მეზობელი კაიუტაში - კონტრაბანდისტი გენადი კობადოევი (მსახიობი ანდრეი მირონოვი), გემბანზე შეზღონებში სხედან. გორბუნკოვს გიტარა უჭირავს და ამბობს, რომ უყვარს სიმღერა კურდღლებზე. მასზე ახალგაზრდა და ცხოვრებაზე „სალი“

აზრის მქონე კობადოევი აწყვეტინებს: „სენია, კურდღლებზე სიმღერა არააქტუალურია... „უიღბლობის კუნძული“ აქტუალურია“ და გენა იწყებს სიმღერას: „სადღაც, ოკეანეში, სიმწვანეში ჩაფლული უიღბლობთა კუნძულია; იქ ცხოვრობენ ულამაზო, მაგრამ კეთილი მშვიერი ველურები, რომლებსაც არაფერში უმართლებთ - ნიანგს ვერ იჭერენ და იქ ქოქოსიც არ იზრდება; მოთქვამენ და ღმერთს ამაოდ ევედრებიან „დათარსული“ ველურები, რომლებიც ალბათ ყველანი ორშაბათს არიან დაბადებულები... აბა, სხვა რა უნდა იყოს მიზეზი, ისინი ხომ მშრომელები არიან და შეეძლოთ, კარგად ეცხოვრათ... საშველი ალბათ იქნებოდა, რომ თავიანთი უიღბლობის მთავარი მიზეზი დაბადების დღეები - ორშაბათები გაეუქმებინათ... მაგრამ აქაც არ გაუმართლათ - კუნძულზე კალენდარი არა აქვთ და ამიტომ დიდი და პატარა სამუდამო უიღბლობისთვისაა განწირული“.

ეტყობა, ამ სიმღერას, რომელიც თავდაპირველ სცენარში არც იყო და სრულად მირონოვის და ნიკულინის იმპროვიზაციაა, ვერაფერი მოუხერხა ცენზურამ, თუმცა, როგორც სიმღერის ტექსტის ავტორი ლეონიდ დერბენიევი იხსენებს, არა ერთი კრიტიკა მიუღია „მოსფილმის“ რედაქტორებისგან, მაგრამ ვერ აიკრძალა, თორემ მის შინაარსში ჩადებული „უზოპეს ენით“ გამოთქმული ანალოგია, მეტ-ნაკლებად მოაზროვნე „საბჭოთა მოქალაქისათვის“, მაშინვე ცხადი იყო: თავდაუზოგავად შრომობენ, მაგრამ ცუდად ცხოვრობენ (ფილმში მოგვიანებით გაისმის მამაკაცის წყევლა: „მხოლოდ ხელფასზე გეცხოვროს!“), უიღბლო მოსახლეობა ვერსად გაიქცევა, რადგან ჩაკეტილი კუნძულის ბინადრები არიან, და ასე შემდეგ.

მოგვიანებით ირკვევა, რომ იური ნიკულინის გმირის შესრულებული „სიმღერა კურდღლებზე“ აგრეთვე ორაზროვანია. სიმღერა იმ კურდღლების „ჰიმნია“, რომლებსაც ეშინიათ მგლისა და ბუების (იგულისხმება დღედაღამ ჩასაფრებული პოლიტიკური და ეკონომიკური ძალოვანი სტრუქტურები), რომლებისგანაც დამალვა ძალიან ძნელია, და კურდღლები მაინც აგრძელებენ „ამაოების ბალახის“ ძოვას ღამით, „მუქ ღურჯ“ ტყეში...

ფილმში უამრავი სხვა ორაზროვანი მომენტია გახსნილი: მაგალითად, მილიციის ოფიცრები, რომლებიც ტელეპატიის დონეზე ურთიერთობენ

(იმდენად ერთნაირად ამოვსებენ), ან იმისთვის, რომ უფროსმა ეკონომისტმა ტურისტული საგზური იყიდოს, მისმა ცოლმა ქურქის შესაძენად ნაგროვები ფული უნდა დათმოს; სახლმმართველი, რომელიც უცხოეთიდან დაბრუნებულ მოქალაქეს ბარგის ამოლაგებისთანავე ადგება თავზე, რაიმე აკრძალული „უცხოურის“ შემოტანის აღმოჩენის მიზნით; „საზოგადოების“ ბრძოლა ალკოჰოლიზმის, საერთაშორისო კაპიტალიზმის „გამხრწნელი“ იდეური გავლენისა და შინაური ძაღლების წინააღმდეგ... ან ფრაზები, რომლებიც ფილმის ეკრანებზე გამოსვლისთანავე მთარულ ციტატებად იქცა: „სხვის ხარჯზე არამსმელიც სვამს და კუჭის წყლულიანიც“; „არ არსებობს ისეთი ერთგული ქმარი, რომელიც ერთი საათით უცხოლობაზე არ ოცნებობდეს“; „ჩვენიანები პურის საყიდლად ტაქსით არ დადიან“; „ჩვენში სახლმმართველია ადამიანის მეგობარი (ძაღლი კი არა)“, და უამრავი სხვა ეპიზოდები, რომლებიც პარტიული პროპაგანდის სლოგანების ირონიული და სატირული ინტერპრეტაციაა... თან, ისეა მოწოდებული, რომ იდეოლოგიურ „ცოდვას“ ვერ მოედავები.

მაინც მოედავენ... ფილმის ჩაბარებისას, „უიღბლოთა კუნძულის“ ფილმიდან ამოღებაც კი უნდოდათ, მაგრამ ანდრეი მირონოვის შესანიშნავად შესრულების გამო დაენანათ. თან რეჟისორმა ამ და სხვა „ცოდვების“ კრიტიკისგან თავის დასაზღვევად, ფილმში შეიტანა ატომური აფეთქების კადრი, რაზეც „გადაიტანა“ კომისიის ყურადღება და ამით, სხვები „გააძვრინა“. ესეც ერთ-ერთი მახვილგონივრული „ფანდი“ გამოდგა ცენზურის წინააღმდეგ.

„ბრილიანტის ხელის“ სასინჯი ნახვის შემდეგ, „გოსკინოს“ სარედაქციო განყოფილებამ ლეონიდ გაიდაის 40-ამდე ცენზურული კომენტარის სია წარუდგინა. ეს იყო მინიშნებები სექსზე, ალკოჰოლზე, ორაზროვან სიმღერებზე, ხელისუფლების წარმომადგენლის (სახლმმართველი) კომიკური სახით წარმოდგენაზე და ბოლოს ატომურ აფეთქებაზე. ამ შენიშვნებმა ლეონიდ გაიდაის სასურველი სკანდალი მოუტანა. როგორც მან დაგეგმა, სახელმწიფო კინოკომიტეტმა განსაკუთრებით, სწორედ აფეთქების ამოჭრა მოითხოვა, რაზეც რეჟისორმა უპასუხა, რომ სვეტლანა სვეტლიჩნაიას პერსონაჟის ამოჭრა ერჩი-

ნა. საბოლოოდ, კომიტეტი დათანხმდა სვეტლიჩნაიას გმირის, სიმღერებისა და „რუსო ტურისტო, ობლიკო მორალეს“ დატოვებას. თუმცა, მაგალითად, სცენა, როდესაც ნონა მორდიუკოვას პერსონაჟი ამბობს: „არ გამიკვირდება, თუ ხვალ გაირკვევა, რომ შენი ქმარი ფარულად დადის სინაგოგაში“, შეაცვლევიანეს საბჭოთა კავშირში ებრაულ თემებზე დადებული ტაბუს გამო და „სინაგოგა“ „საყვარლად“ გადააკეთეს.

დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა რეჟისორ ვლადიმერ მენშოვს, რათა ფილმში „სიყვარული და მტრედეები“ დარჩენილიყო სერგეი იურსკის ბრწყინვალე ნამუშევარი – სოფლის ლოთის სახე, თუმცა ზოგ სხვა დათმობაზე წასვლა მასაც მოუწია.

რუსეთში არსებული ცენზურის ნიმუშების კვლევა ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც საქართველოს ისტორიის უკანასკნელი საუკუნეების ისტორია რუსეთთანაა დაკავშირებული და მეტროპოლიაში მომხდარი ყოველგვარი კულტურული თუ პოლიტიკური ცვლილება ქართულ სინამდვილეზე აისახებოდა.

პოსტსტალინური ეპოქა ქართული კინოსთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა იმ მოვლენის დაბადებაში, რომელსაც „ქართული კინოს ფენომენი“ ეწოდა. სწორედ 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყებს ჩამოყალიბებას ის კინოაზროვნება, რომელიც 1960-იანი წლებში მძლავრ მენტალურ ტალღად გარდაიქმნა, და რომელსაც პირობითად, „ანტისაბჭოთა“ კინო შეიძლება ვუწოდოთ. ძირითადად, ამ ტალღას წარმოადგენდა თაობა, რომელმაც მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი დაამთავრა. მათ შორის იყვნენ: რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ოთარ იოსელიანი, სერგო ფარაჯანოვი, რეზო ესაძე, ლევან პაატაშვილი, მერაბ კოკოჩაშვილი, ლანა ლოღობერიძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლომერ ახვლედიანი და სხვები... უმაღლეს ორწლიან კურსებზე სწავლობდნენ რეზო გაბრიაძე, გიორგი დანელია, და კიდევ მრავალი სხვა, რომლებმაც მოახერხეს ცენზურის პირობებში ისე ეთქვათ თავიანთი „დაცენზურებადი“ სიმართლე, რომ სასჯელს არიდებოდნენ... ამიტომაც ქართულ კინოში იგავური ფორმა დამკვიდრდა. ფილმები „თეთრი ქარავანი“ (ელდარ შენგელაია, თამაზ მეღიავა, 1963) „ალავერდობა“ (გიორგი შენგელაია,

1963), „გიორგობისთვე“ (ოთარ იოსელიანი, 1966), „ლონდონი“ (თამაზ მელიაშვილი, 1966), „დიდი მწვანე ველი“ (მერაბ კოკოჩაშვილი, 1967) „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (ელდარ შენგელაია, 1968) არსებული სოციალური სისტემის შეფარული კრიტიკა იყო.

კინოს გარდა, ცენზურას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ტელევიზიაში, განსაკუთრებით, ცოცხალი ტელევიზიის პირობებში, რაკილა უეცრად ეთერში „გავარდნილ“ ან „გაპარულ“ „ანტისაბჭოურობას“ გაცილებით მეტი მაყურებელიც ჰყავდა და ვერც ვერაფერს მოუხერხებდი, როგორც „გაფრენილ ჩიტს“.

არასწორია იმის თქმა, რომ ცენზორთა შორის მხოლოდ გაუნათლებელი და პრიმიტიული ფუნქციონერები იყვნენ. განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი იყო პოლიტიკურად და იდეურად მოტივირებული, ნაკითხი ცენზორები, რომლებიც პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად აღიარებულ კინოს „იცავდნენ“ დანაშაულად ქცეული ანტისაბჭოურობისაგან. მნიშვნელოვანი უფლებებით აღჭურვილი ასეთი პირები სსრკ კინოს წარმოების სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობათა ნუსხაში შედიოდნენ. ანალოგიური ფუნქციონერები არსებობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კინოკომიტეტებში, რომლებიც ადგილობრივ ქსელებში კინოგაქირავებასა და კინოწარმოებას კურირებდნენ. ყოველ პროფესიულ კინოსტუდიაში არსებობდა ეგრეთ წოდებული რედაქტორის თანამდებობა, რომლებიც სასცენარო კოლეგიის აუცილებელი წევრები და კინონაწარმოების მხატვრულ ხარისხსა და „იდეურ გამართულობაზე“ პასუხისმგებელი პირები იყვნენ, პასუხს აგებდნენ გადასაღებად დამტკიცებულ სცენართან გადაღებული ფილმის შესაბამისობაზე და თვით ტიტრებში გაპარულ უმნიშვნელო შეცდომაზეც კი...

გამონაკლისი არც საქართველო იყო. მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის „არდადეგები“ „ჩაბარებისას“, მოსკოველმა ცენზორმა შენიშვნა გამოთქვა, რომ ფილმში კახეთის სოფელში დასასვენებლად ჩასული ბავშვების შესახებ, პიონერული ორგანიზაცია არ ჩანს, რომელიც მამასა და შვილებს შორის კონფლიქტში უნდა ჩაერიოს. კინოსურათის მიმართ აგრესიული კრიტიკა იმდენად მძაფრი აღმოჩნდა, რომ რეჟისორი სხდომაზევე – საპროექციო კინოლარბაში – ცუდად გახდა.

მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველის“ შემ-

თხვევაში, ფილმში, უაღრესად რთული პიროვნული სულიერი კრიზისში მყოფი ადამიანების შესახებ – რედაქტორის შეთავაზებით ჩასმულმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხაზმა (უნდა ითქვას, გრიგოლ ტყაბლაძის უზადო შესრულებით), როგორც გამონაკლისმა, დამატებითი დრამატიზმი და მნიშვნელოვნება შესძინა მთავარ გმირში მოქცეულ, ეროვნულ სატკივარს და ფილმიც აკრძალვას გადაარჩინა.

სწორედ ამიტომ, ალბათ, არ იქნება სწორი იმის ცალსახად მტკიცება, რომ რედაქტორები მარტო ცენზორის ზედამხედველობითი, უარყოფითი ფუნქციის მატარებლები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ქართული კინოს „ოქროს ხანის“ პერიოდში რედაქტორებად მუშაობდნენ მწერლები და დრამატურგები – აკაკი ბაქრაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჭეიშვილი, რეზო ინანიშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გია ბადრიძე და სხვები, რომლებიც, ძირითადად, ეხმარებოდნენ ქართველ სცენარისტებს და რეჟისორებს სათქმელის ისეთი ფორმით ჩამოყალიბებაში, რომ მათ ნამუშევრებს წინააღმდეგობა არ შეხვედროდათ იქ – მოსკოვში, სადაც საბოლოოდ მტკიცდებოდა გადასაღები სცენარები და კინოეკრანებზე გასაშვებადაც იძლეოდნენ ოფიციალურ უფლებას. სავარაუდოა, რომ მათი წვლილიცაა იმაში, რომ მრავალი ქართული კინომედევი გადაურჩა „მოსკოვურ ცენზურას“: „გიორგობისთვე“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“, „შერეკილები“, „დიდი მწვანე ველი“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „მონანიება“, „ცისფერი მთები“, კანის „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი ანიმაცია „ჭირი“ და ასე შემდეგ. განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა საქართველოს ტელევიზიის „მთავლიტი“ ივლიტა მესხიშვილი...

უნდა ითქვას, რომ ქართული ფილმწარმოების ხელმძღვანელები თავიანთ თანამდებობრივ შესაძლებლობებს ხშირად იყენებდნენ ეროვნული თემატიკის განვითარებისთვის. კერძოდ, რეზო ესაძის შედეგად „ერთი ნახვით შეყვარება“, რომელიც „ლენფილმის“ პროდუქცია იყო და სულ მცირე, ცენზურული „კასტრირება“ ელოდა, გამოისყიდა და გადაარჩინა „ქართულმა ფილმმა“, რეზო ჩხეიძის უშუალო აქტივობის შედეგად და ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა.

ისიც უნდა ითქვას, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელებისა და სხვა კინომოღვაწეების „ჩრდილში დარჩენილი“ საქმიანობა სათანადო შესწავლასა და ანალიზს დღემდე ელოდება – განსაკუთრებით 1960-1980-იან წლებში, როდესაც, საყოველთაო ცენზურის პირობებში, ქართული კინო აყვავდა. დასაფიქრებელია, რომ ამისთვის, მათ არაერთ კომპრომისსა და პოლიტიკურ მოქნილობაზე მოუხდათ წასვლა, რის შედეგადაც შეიქმნა არამართო „ქართული კინოს ფენომენი“, არამედ ქართული ეროვნული კინოსკოლაც.

მახსენდება ერთი „პარტიული“ შეხვედრა თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის სტუდენტებთან, რომელზეც ერთმა გამომსვლელმა რეზო ჩხეიძემ მოიყვანა მისაბაძ იდეოლოგიურ მაგალითად, როგორც „რაიკომის მდივანის“ ავტორი. რეზო ჩხეიძემ კი, განაცხადა: „მე იმიტომ ვიღებ „რაიკომის მდი-

ვანს“, რომ მისი გადაღება ამათ არ დასჭირდეთ“.

როდესაც 1960-1990-იანი წლების საბჭოთა და ქართულ კინოკომედიებს ვუყურებ, გამიელვებს ხოლმე „მკრეხელური“ აზრი – იქნებოდა კი, ცენზურის გარეშე ეს ფილმები ასე მძაფრი, მახვილგონივრული და მრავალშრიანი?! ზღაპრული, ირონიული?!

გადატანითი მხატვრული განზოგადება, რისი ნაკლებობაც ასე იგრძნობა სოციალური, გენდერული და სხვა მნიშვნელოვანი თემატიკით გაჯერებულ დღევანდელ ქართულ კინოპროდუქციაში..

ქართულ კინოს დღესაც აქვს საერთაშორისო მიღწევები (თვით „ოსკარის“ ნომინაციაზე კი), მაგრამ ისეთი „მსუყე“ და დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები, როგორებიც ზემოთ ჩამოთვლილი (1960-1980-იანი წლების სხვა არა ერთი) ფილმების გმირები არიან, მაინც მონატრებული იშვიათობაა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაშმაძე გ., სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა, თბ., 1973.
- ბაქრაძე ა., კინო და თეატრი, წერილების კრებული, თბ., 1989.
- გვახარია გ., ცრემლიანი სათვალე, თბ., 2013.
- პლატონი, ნადიმი, თბ., 1964.
- პლატონი, ფედონი, თბ., 1966.
- პატარაია ქ., მწერალი კინოდრამატურგები XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ კინოში, სადოქტორო თბ., 2022.
- ქართული კინო, 1896-2011: ენციკლოპედიური ლექსიკონი, კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაცია, 2011.
- შველიძე ნ., საბჭოთა „მონობაში“ აკრძალული ლიტერატურა და ფილმები, 2018. <https://mythdetector.ge/ka/sabtchotha-monobashi-akrdzaluli-literatura-da-philmebi/> 02/07/2025
- National Constitution Center, The United States Constitution. <https://constitutioncenter.org/the-constitution/full-text> 02/07/2025
- Miller Center, McCarthyism and the Red Scare, 2017. <https://millercenter.org/the-presidency/educational-resources/age-of-eisenhower/mccarthyism-red-scare> 02/07/2025



# 1960s MOVIES IN THE INTERNET SPACE, CENSORSHIP AND SELF-CENSORSHIP

Davit Gujabidze

**Keywords:** censorship, Stalinist censorship, the Khrushchev Thaw, Fellini's 8½, censored comedy films, Soviet and Georgian Soviet cinema

**Abstract:** One of the great advantages of the digital era is that the Internet has, among others, eased access to cinema from different eras. It has become much easier to observe events that occurred at different times and evaluate their development in time. Amazingly, under the oppressive conditions of censorship, Georgian cinema thrived. This article examines the relationship between censorship and cinema during the Soviet period.

One of the great advantages of the digital age is that cinema of different eras, among others, have become easily available on the Internet, everything is at our fingertips and it becomes much easier to observe events that happened at different times and evaluate them in the process of development.

Censorship (Lat. *censura*) is control over the content and distribution of printed, musical or scripted works, fine arts, film and photographic works, TV and radio programs, websites or portals, and in some cases, private correspondence by a state supervisory body in order to prevent dissemination of ideas or information that the given government considers harmful or undesirable.

